ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისთვის

ეკატერინე გამახარია

ეკატერინე გამახარია

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მისი ტრანსფორმაციისთვის

ქუთაისი
2017

ავტორის შესახებ

ეკატერინე გამახარიას საქმიანობის ძირითადი სფეროა ადამიანის უფლებები, მათ შორის - იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) უფლებები. ეკატერინე გამახარია არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციისა და ტრენინგ-სემინარის მონაწილე ქალთა უფლებების, კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე.

შრომითი საქმიანობა დაიწყო კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმში". 2000-2006 წლებში იყო ქალთა უფლებების დაცვის სექტორის დირექტორი. ფონდ „სოხუმთან" დღემდე თანამშრომლობს, როგორც კონსულტანტი. 2006 წელს მიიღო ჯონ სმიტის სტიპენდია დიდ ბრიტანეთში დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევისა და შესწავლისათვის, შემდეგ კი - ედმუნდ მასკის სტიპენდია ამერიკის უნივერსიტეტში ადამიანის საერთაშორისო უფლებების შესასწავლად.

2006-2007 წლებში სწავლობდა ინდიანას უნივერსიტეტში (აშშ), სადაც მიიღო ადამიანის საერთაშორისო უფლებების მაგისტრის ხარისხი. 2007-2008 წლებში მუშაობდა დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს ნაციონალურ კონსულტანტად იგპ-თა საკითხებში. 2012-დან 2014 წლამდე - პროგრამების მენეჯერად ბრიტანულ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციაში „ევრი-ჩაილდ საქართველო", რომელმაც 2015 წლიდან დაასრულა თავისი მისია საქართველოში.

2015 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელი კონსულტანტი და მწვრთნელია.

ეკატერინე გამახარია არის ავტორი ანალიტიკური მოხსენებების, წიგნებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისა: „ქალი და მისი როლი მშვიდობის მშენებლობის საქმეში", „ქალები მოლაპარაკების მაგიდასთან", „გზა მშვიდობისაკენ", „ქალთა ლიდერობის ფენომენი", „გენდერი და პოლიტიკური პარტიები", „ადგილობრივი ხელისუფლება და გენდერი", „ქალები მშვიდობის ძიებაში", „ქალთა ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის შეფასება დასავლეთ საქართველოში", „ქალთა მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები".

შინაარსი

პროექტის შესახებ
ქალთა შესაძლებლობების განვითარება
კონფლიქტის ტრანსფორმაციაში
ახალი მიდგომების გამოსამუშავებლად 5

შესავალი 7

ნაწილი I: მშვიდობის შენების და
კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის
ხელისშემშლელი ფაქტორები
1.1. შეუთავსებელი სტატუსების შეჯახება 11
1.2. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია -
არაღიარებიდან უარყოფამდე 16
1.3. იზოლაცია თუ რუსეთისკენ
ფართოდ გაღებული კარი 21
1.4. გალის რაიონი – „აქილევსის ქუსლი“
თუ უზარმაზარი რესურსი
თანამშრომლობისთვის 29

ნაწილი II: გზა წინ
2.1. „სტატუს-ნეიტრალური“
მიდგომის მნიშვნელობა 35
2.2 სუვერენიტეტის არაღიარება, მაგრამ
აფხაზეთთან კონფლიქტის აღიარება 37
2.3 აფხაზეთის უფრო აქტიური ჩართვა და
თანამშრომლობა ევროპულ სტრუქტურებთან 38
2.4 გალი - პლატფორმა თანამშრომლობისა
და განვითარებისათვის 40
2.5 აქტიური მუშაობა სახალხო დიპლომატიის
სფეროში და ქალთა როლის ამაღლება 43

დასკვნა 46

ბიბლიოგრაფია 48

პროექტის შესახებ

ქალთა შესაძლებლობების განვითარება კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ახალი მიდგომების გამოსამუშავებლად

2017 წლის 15 იანვრიდან ფონდმა „სოხუმმა“ მუშაობა დაიწყო ახალ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების განვითარებას მათი უფრო მაღალი საზოგადოებრივი როლისათვის, კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე გავლენისა და მდგრადი მშვიდობის შენებისათვის.

საპროექტო საქმიანობა განხორციელდება დასავლეთ საქართველოში.

პროექტის საჭიროება დასაბუთებულია იმით, რომ, გავრცელებული პრაქტიკით, კონფლიქტის ორივე მხარეს ოფიციალურ სტრუქტურებში მამაკაცები დომინირებენ, მაშინ, როდესაც ქალებს შეუძლიათ, იყვნენ წარმატებული „მესამე სექტორში“. ქალების პოტენციალი და გამოცდილება ასევე ძალიან მცირე დოზით არის გამოყენებული სახალხო დიპლომატიაში.

პროექტის მიხედვით, მდგრადი მშვიდობის მისაღწევად მნიშვნელოვანია მუშაობა ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით გოგონებთან, რომლებიც გახსნილი არიან დიალოგისთვის და შეუძლიათ, მიაღწიონ კომპრომისს ყველაზე აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად. პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის საკითხებზე.

პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც მიიღებენ სამშვიდობო აქტივობების კუთხით საჭირო უნარებს; ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები,

რომლებიც ჩართული არიან კონფლიქტის დარეგულირების პროცესში; სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მოიაზრებიან მომხრეებად პროექტის მთავარი მიზნის მიღწევაში.

პროექტის შედეგად შეიქმნება უსაფრთხო პლატფორმა კონფლიქტის მხარეების ქალთა აქტიური ჯგუფების დიალოგისთვის ჰუმანიტარულ პრობლემებზე და მათი მოგვარების ეფექტურ გზებზე; გაიზრდება ქალთა როლი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ჩატარდება კვლევა, შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები საზოგადოებისთვის წარსადგენად; გამოიცემა ანალიტიკური ბროშურა; ჩამოყალიბდება პოზიტიური საზოგადოებრივი აზრი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე, მათ შორის მდგრადი მშვიდობისა და ადამიანური უსაფრთხოების საკითხებზე; საზოგადოებაში გავრცელდება ინფორმაცია ქალთა დიპლომატიის წარმატებული გამოცდილების შესახებ, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის და მდგრადი მშვიდობის შენების გზაზე.

შესავალი

ქართულ-აფხაზური მოუგვარებელი კონფლიქტიდან 25 წლის მიწურულს, რომელიც კონფლიქტის მონაწილეთა მხრიდან ამბივალენტური ურთიერთობებით და ქმედებებით გამოირჩევა. შეიქმნა პარალიზებული პროცესის რეალობა, რომელსაც არანაირი ხელშესახები შედეგი არ მოჰყვება. პოლიტიკური დიალოგის არსებულმა სტაგნაციამ კიდევ უფრო მეტი გაუცხოება და უნდობლობა წარმოშვა მხარეებს შორის, საქართველოს მოსახლეობაში ჩამოაყალიბა ნიჰილიზმი უკომპრომისო და უნაყოფო ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის მიმართ და დიდი ხნით გადაავადა გაჭიანურებული კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები.

1992-1993 წლებში აფხაზეთში ღია საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, რომელსაც ორივე მხრიდან მრავალათასიანი მსხვერპლი და საკუთარი სახლებიდან ასი ათასობით ეთნიკური ქართველის განდევნა მოჰყვა, თბილისსა და სოხუმს შორის წარმოებული ოფიციალური მოლაპარაკებები შეიძლება დახასიათდეს როგორც არათანმიმდევრული პროცესი, რომელიც არაერთხელ შესულა ჩიხში, დაძაბულობის ესკალაციის და მიღებული ხელშეკრულებების დარღვევის გამო. მხარეებს შორის ურთიერთუნდობლობა და სტატუსის თაობაზე პოზიციების პოლარული სხვადასხვაობაც ხელს უშლიდა კონფლიქტის მოგვარების ყველა მცდელობას.

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომმა ძირეულად შეცვალა კონფლიქტის მხარეების განლაგება, როდესაც ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტმა ახალ საერთაშორისო დონეზე გადაინაცვლა და რუსეთი კონფლიქტის ერთადერთ მხარედ განსაზღვრა. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ღია მონაწილეობამ საომარ მოქმედებებში სამხრეთ ოსეთის მხარეს და მისგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდგომმა აღიარებამ ეჭვიც კი არ დატოვა მისი გეოპოლიტიკური ინტერესების და რეგიონში თავისი გავლე-

ნის შენარჩუნების სურვილზე, რაც მიმართულია საქართველოს მზარდი პროდასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფართო გეოსტრატეგიულმა პაექრობამ სრულიად გადაფარა ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული კონფლიქტი. აფხაზეთი განიხილება მხოლოდ რუსეთის ნების შემსრულებლად და მისი ინსტრუმენტის პრიზმაში. კონფლიქტის იგნორირება და ორ ხალხს შორის არსებული წყენის და წინააღმდეგობების დავიწყება ხელს უშლის ნებისმიერი დიალოგის წარმართვას და მხარეებს შორის ნდობის შენებას, რაც კიდევ უფრო შორეულს ხდის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებს. ამას გარდა, კონფლიქტის მხარის ღირსების შელახვა, მხარის საჭიროებების და ინტერესების იგნორირება, უარის თქმა აფხაზეთისთვის თანაბარი პატივისცემის («parity of esteem») შეთავაზებაზე, რაც წინ უნდა უძღოდეს პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულ ნებისმიერ მოლაპარაკებას, ზრდის უფსკრულს, ამკვიდრებს უნდობლობას პროცესის მიმართ და აფხაზეთს კიდევ უფრო უბიძგებს რუსეთის, როგორც მისი ერთადერთი მფარველის და დამცველის, გავლენის ზონისკენ.

უნდა ითქვას ისიც, რომ უკრაინის კრიზისმა და მისგან გამომდინარე დაძაბულობამ რუსეთსა და ევროპას შორის კიდევ უფრო გააძლიერა იმის რწმენა, რომ არსებული კონფლიქტების მოგვარების გასაღები გადის არჩევანზე, თუ რომელი ძალის (დერჟავის) სტრატეგიულ და პოლიტიკურ ინტერესებს ემხრობიან მხარეები და არა ძალისხმევაზე მოწინააღმდეგე მხარესთან დიალოგის მოწესრიგებისთვის.[1] ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს, ერთი მხრივ, არსებული პრობლემების აღიარებას და, მეორე მხრივ, პირდაპირ კომუნიკაციას, მსჯელობას და ურთიერთობას უშუალოდ კონფლიქტის მხარესთან. და, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია რუსეთის როლის და ინტერესების გაუთვალისწინებლობა ქართულ-აფხაზურ კონ-

1 თაბიბ ჰუსეინოვი, „შუალედური ინტერვენციის სტრატეგია კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის სამხრეთ კავკასიაში“, კავკასიის მიმოხილვა, ტომი 2, 2014. გვ. 130. ხელმისაწვდომია ბმულზე http://dx.doi.org/10.1080/23761199.2014.11417305 (Tabib Huseynov, Transitional intervention strategies for conflict transformation in the South Caucasus, Caucasus Survey)

ფლიქტში, კონცენტრირება მხოლოდ გეოპოლიტიკურ დონეზე და ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული წინააღმდეგობის უარყოფა არა მარტო აფერხებს მხარეთა დაახლოებას და ნდობის აღდგენას, არამედ კონტრპროდუქტიულ როლს ასრულებს კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის საკითხში.

დამატებითი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამუხრუჭებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის პროცესს, არის მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები პოლიტიკური სტატუსის თაობაზე. აფხაზურ მხარესთან უშუალო დიალოგის ერთადერთი პოლიტიკური პლატფორმა დღეისათვის არის ჟენევის მოლაპარაკების პროცესი, რომელიც ეძღვნება სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებს და მიმდინარეობს ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს შუამდგომლობით საქართველოს, რუსეთის, აშშ დელეგაციების და აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო და დე-იურე ხელისუფლებების წარმომადგენლების მონაწილეობით. ნებისმიერი, პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული ხასიათის საკითხის განხილვა ყოველ ჯერზე ეჯახება აფხაზეთის სტატუსის შესახებ მხარეების შეუთავსებელი პოზიციების ურყევ კედელს, რაც არ ტოვებს სივრცეს თანხმობის მიღწევისთვის და შორეული მომავლისკენ გადადებს არსებული პრობლემების მოგვარებას.

მაშინ, როცა ოფიციალური დიპლომატიის მცდელობამ პროცესს ხელშესახები შედეგები ვერ შემატა, საზოგადოებრივი/სახალხო დიპლომატიის რგოლი რჩება შედარებით თავისუფალ სივრცედ ღია და კონსტრუქციული დიალოგისთვის, ახალი იდეების შემუშავებისა და კონკრეტული ქმედებების განხორციელებისთვის, რომლებიც მიმართულია გაჭიანურებული კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისკენ და რამაც, შესაძლოა, შემდგომში დადებითი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ამიტომაც, მეტად მნიშვნელოვანია, გადაიხედოს კონფლიქტის მართვის მიმართ არსებული მიდგომები, ხელახლა იქნას გააზრებული და გადაფასებული სამშვიდობო საქმიანობის ძველი და მიმდინარე კურსი და მხარეთა პოზიციების განლაგება, ღიად იქნეს განხილული ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის

კონსტრუქციულ დიალოგს და მშვიდობის შენების პროცესს და მთელი ძალისხმევა წარიმართოს წინააღმდეგობების ნეიტრალიზებისკენ. საჭიროა ურთიერთობის ახალი ფორმების ძიება როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეებზე. მოქმედება მიმართული უნდა იქნეს ახალი და გადამწყვეტი ინიციატივების დაწყებისკენ. მეტი ფოკუსირებაა საჭირო ადამიანის უფლებათა დაცვაზე და იმ ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ღირსეული ცხოვრებისათვის როგორც აფხაზეთში, ისე დანარჩენ საქართველოში.[2]

წინამდებარე ანალიტიკური სტატია, პირველ რიგში, მიმართულია იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზისკენ, რომლებიც აფერხებს სამშვიდობო საქმიანობას და კონფლიქტის ტრანსფორმაციას, ხაზს უსვამს პროცესში ჩართული ყველა მხარის როლს და მოცემული ფაქტორების გავლენას მშვიდობის შენების პერსპექტივაზე. ამას გარდა, პუბლიკაციაში აისახება კონკრეტული წინადადებები შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის თაობაზე, რაც საწყისს დაუდებს მშვიდობის შენების უფრო ეფექტური პროცესის და ქართულ-აფხაზურიკონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ახალი რეალიების და დღეს არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

სტატიაში გამოხატული მოსაზრებები ეფუძნება როგორც ავტორის პირად შეხედულებებს, ასევე მოიცავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სფეროს ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ახალგაზრდა და შედარებით ასაკოვანი ლიდერი ქალების აზრს, რომლებიც გამოთქმულა ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

2 პუბლიკაციაში ნახსნები იქნება „საქართველო“ და „აფხაზეთი“, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტორი აფხაზეთს დამოუკიდებელ ერთეულად მიიჩნევს.

ნაწილი I: მშვიდობის შენების და კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

1.1. შეუთავსებელი სტატუსების შეჯახება

პოზიციების შეუთავსებლობა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელიც ხელს უშლის ქართველებსა და აფხაზებს შორის ნებისმიერი, პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული ხასიათის შეთანხმების მიღწევას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი წინადადება - მიუხედავად მათში ასახული სიკეთეების ოდენობისა, მათ შორის, ფართო უფლებამოსილების მინიჭება, პოლიტიკური თვითმმართველობის სერიოზული გარანტიების შექმნა თუ ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება, რომლებიც ეფუძნება ტერიტორიულ მთლიანობას, ან ხაზს უსვამს საქართველოს მისწრაფებას აფხაზეთის რეინტეგრაციის შესახებ საქართველოს შემადგენლობაში - სოხუმის მხრიდან სასტიკი უარით იქნა მიღებული.

შეიძლება გამოიყოს კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელთაც აქვთ შანსი, მკვდარი წერტილიდან დაძრან პროცესი, შეცვალონ მოვლენათა მსვლელობა და მხარეებს შორის დაიწყონ კონსტრუქციული თანამშრომლობა, მიმართული ორივე საზოგადოებაში ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისკენ, შერიგების და მშვიდობის შენების პროცესის დაახლოებისაკენ. მაგრამ პოზიციების შეუთავსებლობა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე ყოველთვის ხელს უშლის ნებისმიერ დიალოგს და შეთანხმების მიღწევას.

თავდაპირველად საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი მოდელი, რომელიც განხილულ იქნა მოლაპარაკებებზე, იყო ფედერაციული მოდელი, რომელიც ხანგრძლივი განხილვის შემდეგ აისახა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ოქმში

1995 წელს. პროტოკოლი დეკლარირებდა მხარეთა შეთანხმებას, „...ცხოვრონ ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში“ და მკაფიოდ განსაზღვრავდა ხელისუფლების უფლებამოსილებას ფედერაციულ ცენტრსა და აფხაზეთის მთავრობას შორის. აფხაზური მხარის ხელმოწერა მალევე იქნა გამოხმობილი აფხაზეთის პარლამენტში გამართული სკანდალის გამო, რომელსაც არ სურდა აფხაზეთის განხილვა საქართველოსთან სამართლებრივ ჭრილში.[3]

წარუმატებლად დასრულდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის ფედერაციული მოდელის განხილვის მეორე მცდელობაც, რაც ასახულ იქნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ოქმში 1997 წელს და მიუთითებდა მხარეების თანხმობის შესახებ „...იცხოვრონ მოკავშირე სახელმწიფოში, 1991 წლის 21 დეკემბრის ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში“. ამ შემთხვევაში კი საქართველომ განაცხადა უარი ნებისმიერ სახელმწიფოებრივ მოწყობაზე თანაბარუფლებიანი „მოკავშირე რესპუბლიკების“ ფარგლებში[4].

სათანადო ყურადღება არ მიექცა ვიაჩესლავ ჩირიკბას რეკომენდაციებს, რომელმაც შესთავაზა ფედერაციული და კონფედერაციული პრინციპების კომბინაციაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მოდელის პროექტი[5].

---

3 ვახტანგ ყოლბაია, ივლიანე ხაინდრავა, ნოდარ სარჯველაძე, ელენე ჩომახიძე, არჩილ გეგეშიძე, „სამარი მოქმედებების განუახლებლობის გარანტიები: საფრთხეები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2009, გვ. 10, 80 (Вахтанг Колбаиа, Ивлиан Хаиндрава, Нодар Сарджвеладзе, Елена Чомахидзе, Арчил Гегешидзе, «Гарантии по невозобновлению боевых действий: опасения в контексте грузино-абхазских взаимоотношений», Грузинский Фонд стратегических и международных исследований, Тбилиси, Грузия, 2009, стр. 10, 80)

4 იგივე წყარო, გვ 10, 82

5 ვიაჩესლავ ჩირიკბა, საქართველო და აფხაზეთი: წინადადებები კონსტიტუციური მოდელისთვის, 1999, გვ. 388, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/orderbooks/federal_r/17chirikba.pdf
(Вячеслав Чирикба, Грузия и Абхазия: предложения к конституционной модели, 1999, стр. 388)

შეუთავსებელი სტატუსების შეჯახებამ არ მისცა კონსტრუქციული დიალოგის დაწყების შანსი სამშვიდობო პროექტს „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების განაწილების ძირითადი პრინციპები“, რომელიც „ბოდენის გეგმის“[6] სახელწოდებითაა ცნობილი. ის წარმოადგინა გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა, დიპლომატმა დიტერ ბოდენმა 2002 წელს.

„ბოდენის გეგმაში“, რომელიც 8 პუნქტისგან შედგებოდა, განიხილებოდა „სუვერენული აფხაზეთის“ შექმნა საქართველოს ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს დოკუმენტი არ იძლეოდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მზა გადაწყვეტილებებს, მაგრამ წარმოადგენდა საინტერესო პლატფორმას კონსტრუქციული დიალოგის დასაწყებად კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების კონკრეტული ზომების განსაზღვრისათვის. ეს გეგმა უარყო როგორც საქართველომ, ისე აფხაზეთმა, რადგან ნებისმიერი აზრი, რომელიც აფხაზეთს „საქართველოს შემადგენლობაში“ მიაკუთვნებდა ადგილს, მიუღებელი იყო სოხუმისთვის, ხოლო „აფხაზეთის სუვერენიტეტის“ ხსენება, თუნდაც საქართველოს ფარგლებში - თბილისისთვის ტერიტორიული მთლიანობის საფრთხედ მიიჩნეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატუსის საკითხი ხელს უშლიდა ინიციატივების წამოწევას არა მხოლოდ ოფიციალური პირების, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდანაც. მაგალითად, 2004 წელს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა კონცეფცია აფხაზეთის მომავალი შესაძლო სტატუსის შესახებ სახელწოდებით „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“.

კონცეფცია წარდგენილ იქნა საზოგადოების და საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის წინაშე. დოკუმენტის

---

6 ბრუნო კოპიტერსი, „ევროპეიზაცია და კონფლიქტების მოგვარება: ევროპული პერიფერიების კონკრეტული კვლევები“, თავი 5 - ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, 2005, გვ. 207-209, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/orderbooks/ecr/ecr_197-236.pdf (Бруно Коппитерс, «Европеизация и разрешение конфликтов: конкретные исследования европейской периферии», Глава 5, грузино-абхазский конфликт, 2005, стр. 207-209)

იდეები ადრინდელებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი იყო. მასში განიხილებოდა ასიმეტრიული ფედერაციის შექმნის პერსპექტივა, რომელშიც აფხაზეთი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს „ისტორიული წარმონაქმნების ერთ-ერთი სუბიექტი", წარმოდგენილი იქნებოდა „სუვერენული სახელმწიფო ერთეულის" სახით, შესაძლო გამოყოფის უფლებით.[7]

მის გარშემო დისკუსიების ვნებათაღელვის შემდეგ ეს კონცეფციაც ვერ იქცა საბაზისო დოკუმენტად, რომელზეც იმსჯელებდნენ საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკოსები, რადგან აფხაზეთის „სუვერენიტეტის" ნებისმიერი ხსენება მიუღებელ პერსპექტივას წარმოადგენს საქართველოსთვის.

2008 წლის მოვლენების შემდეგ, რომელმაც საგრძნობლად შეცვალა კონფლიქტის მხარეების განლაგება, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ ფორმატში, ოღონდ უკვე საქართველოსა და რუსეთს შორის.

ერთი ფორმატი - ჟენევის მოლაპარაკების პროცესი (ცნობილია ჟენევის დისკუსიების სახელითაც), მოქმედებს 2008 წლის ოქტომბრიდან, 12 აგვისტოს ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად და მიმდინარეობს ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს ეგიდით. ჟენევის ოფიციალური დიალოგი, რომელშიც ჩართულნი არიან თბილისის, მოსკოვის, ვაშინგტონის, სოხუმის და ცხინვალის წარმომადგენლები, ეხება უსაფრთხოების საკითხების, იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დაბრუნების და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებების ვიწრო სპექტრს. 9 წლის თავზე, დისკუსიების 42 რაუნდის შემდეგ, შეუძლებელია იპოვო რაიმე პოზიტიური წინსვლა და ილაპარაკო ხელშესახებ შედეგებზე.

მეორე ფორმატია ე. წ. „აბაშიძისა და კარასინის შეხვედრები პრაღაში", სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში

7 სელინ ფრანსისი, „კონფლიქტის მოგვარება და სტატუსი: საქართველოს და აფხაზეთის მაგალითი", (1989-2008), 2010, გვ. 211, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/pdf-files/Conflict%20Resolution (Celine Frances, «Conflict Resolution and Status: The Case of Georgia and Abkhazia (1989-2008), 2010, стр 211)

ზურაბ აბაშიძე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობების სავაჭრო, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებულ საკითხებს.

დღეისათვის არსებული ორივე ფორმატი წარუმატებლობისთვისაა განწირული, რადგან აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი სერიოზული საკითხის განხილვა სტატუსის საკითხს ებჯინება. მაგალითისთვის, ჟენევის დისკუსიების პოლიტიკურ დიალოგში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მხარეებს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიუღწევლობა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური სტატუსის საკითხს უკავშირდება. საქართველო, რომელმაც 2010 წელს ცალმხრივად მოახდინა ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების დეკლარირება,[8] გამყარებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით, უარს ამბობს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას არაღიარებულ აფხაზეთთან, რადგან არ მიაჩნია ის სუვერენულ სახელმწიფოდ და კონფლიქტის მხარედ და მოითხოვს ამ შეთანხმების ხელმოწერას მისი აზრით მთავარ მხარესთან - რუსეთთან. რუსეთი კი, თავის მხრივ, უარს ამბობს ამ დოკუმენტის გაფორმებაზე, ვინაიდან არ აღიარებს თავს კონფლიქტის მხარედ. ამას გარდა, ნებისმიერი თემის მოგვარებას, რომელიც ეხება ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას თუ აფხაზეთთან გადაადგილების გამარტივებას, მოსკოვი და სოხუმი მოითხოვენ შეთანხმების საფუძველზე, კერძოდ, შეთანხმებების გაფორმებას საქართველოსა და აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის. შედეგად, ნებისმიერი საკითხი სტატუსის შესახებ არ იძლევა პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას, რადგან რაიმე სახის შეთანხმების დადება აფხაზეთთან საქართველოს მხრიდან განიხილება როგორც აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის საერთაშორისო ლეგი-

8 Civil.ge. „საქართველომ მიიღო ცალმხრივი გადაწყვეტილება ძალის გამოუყენებლობის შესახებ“, 23 ნოემბერი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/eng/article.php?id=22880 (Georgia Makes 'Unilateral Pledge' of Non-Use of Force". Civil Georgia. 23 November 2010).

ტიმაციისკენ წინგადადგმული ნაბიჯი. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ხანგრძლივი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი წარმოადგენს „შეუთავსებელი სასურველი სტატუსების შეჯახებას“[9], რომელსაც ჩიხში შეჰყავს მოლაპარაკების მთელი პროცესი და არ ტოვებს კონსტრუქციული დიალოგის წარმართვის და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭირბოროტო პრობლემების მოგვარების შანსს.

1.2. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია - არაღიარებიდან უარყოფამდე

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა არსებითად შეცვალა მხარეთა პოზიციები და ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი გადაიტანა საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტის დონეზე.

რუსეთის ღია მონაწილეობამ საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში 2008 წელს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდგომმა აღიარებამ მოახდინა რუსეთის, როგორც კონფლიქტის მთავარი მხარის, პოზიციონირება, რამაც საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტი რუსეთთან გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობად გადააქცია[10]. კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციამ, ერთი მხრივ, გაფანტა ეჭვი რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების თაობაზე სამხრეთ კავკასიაში, აშკარად ხაზი გაუსვა რა რუსეთის ძირითად როლს ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის ესკალაციაში, რაც მიმართულია საქართველოს პროდასავლუ-

9 სელინ ფრანსისი, „კონფლიქტის მოგვარება და სტატუსი: საქართველოს და აფხაზეთის მაგალითი“, (1989-2008), 2010, გვ. 211, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/pdf-files/Conflict%20Resolutiна on%20and%20 Status%20Publication%20version%202011.pdf (Celine Frances, «Conflict Resolution and Status: The Case of Georgia and Abkhazia (1989-2008), 2010, стр 211)

10 გია ნოდია, „2008 წლის აგვისტოს ომი: ძირითადი შედეგები საქართველოსა და მისი კონფლიქტისთვის“, 2012, გვ. 29 (Gia Nodia, “The August War of 2008: The Main Consequences for Georgia and its Conflict.”, 2012, page 29)

რი ორიენტაციისა და რეგიონში კონტროლის შენარჩუნებისაკენ. თუმცა, მეორე მხრივ, უშუალოდ საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის არსებობის და ხალხებს შორის ღრმად გამჯდარი წყენის უარყოფამ კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს მხარეები და გადაავადა კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები.

ტენდენცია, აფხაზეთი განხილულ იქნას „პაიკად" საერთაშორისო პოლიტიკის დიდ ველზე, საგრძნობლად აფერხებს ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ყველა პრობლემის სირთულისა და მრავალმხრივობის აღქმას და და გაგებას და ხელიდან უშვებს ამ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების სიღრმისეული საფრთხეების და საჭიროებების განხილვის შესაძლებლობას.[11]

უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, პოლიტიკური დიალოგის პრაქტიკულად შეჩერების პირობებში, როდესაც არ არსებობდა სიტუაციის პოზიტიური კუთხით შეცვლის მოლოდინი, საქართველოს მთავრობამ გადაიტანა თავისი მიდგომის ფოკუსი „სტატუსის" საკითხიდან - ნდობის აღდგენისა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისკენ. ახალი მიდგომა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი იყო 2010 წლის სტრატეგიის სახით: „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით". ეს იყო ფაქტობრივად პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს, მიმართულს საზოგადოებებს შორის კავშირების აღდგენისკენ თემთაშორისი პროექტების მეშვეობით, რომლებიც ეხებოდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს.

მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მიეცა მრავალმხრივი შესაძლებლობა: ჯანდაცვის სერვისით და შეღავათებით სარგებლობა საქართველოში, სატრანსპორ-

---

11 ჯონ ო'ლაფლინი, ვლადიმერ კოლოსოვი, ჯერარდ ტოული, „აფხაზეთის შიგნით: მოსაზრებათა მიმოხილვა დე-ფაქტო სახელმწიფოში", 2013, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.colorado.edu/ibs/intdev/johno/pub/InsideAbkhazia.pdf (John O'Loughlin, Vladimir Kolossov and Gerard Toal, 'Inside Abkhazia: A Survey of Opinions in a De-Facto State" (2013)

ტო კომუნიკაციების აღდგენა, საზღვარგარეთ გამგზავრება სპეციალური დოკუმენტებით, სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურების მხარდაჭერა შესაბამისი სამართლებრივი და ფინანსური პირობების მეშვეობით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, კულტურული მემკვიდრეობის, აფხაზი ხალხის ენისა და იდენტობის დაცვის ხელშეწყობა.[12] გარდა ამისა, შემუშავდა კონკრეტული გეგმა სტრატეგიაში გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისთვის. მაგალითად, საქართველოსგან იყო ნეიტრალური პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის შეთავაზება, რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მსოფლიოში მოგზაურობის საშუალებას და საქართველოში არსებული ყველა სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევდა. მაგრამ აფხაზეთში „ნეიტრალური პასპორტების“ მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობას აქვს რუსული პასპორტი, რაც რუსეთის ფედერაციაში უვიზო მიმოსვლის, მუშაობის, სწავლის, მკურნალობის და საერთო საფუძველზე საზღვარგარეთ წასვლის საშუალებას იძლევა[13]. მეორეც, აფხაზები და ოსები უარს ამბობენ ნეიტრალურ პასპორტზე, რადგან უარყოფენ „ევროპასთან ინტეგრაციას საქართველოს მეშვეობით“.

ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობა კი ერთი-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მექანიზმია ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ჩართულობისა და ურთიერთობისთვის. აფხაზეთის მოსახლეობა, რომელიც მოკლებულია აფხაზეთში ხარისხიანი

---

12 სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf

13 Newcaucasus.com, „საზღვარგარეთ გამგზავრების პრობლემა არა აქვთ იმათ, ვინც პასპორტი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ აიღო (რუსეთის ნებისმიერ ადგილას)“, ორი მოსაზრება ნეიტრალურ პასპორტებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, 17.07.2011, ხელმისაწვდომია ბმულზე http://newcaucasus.com/society/13029-dva-vzglyada-na-neytralnyie-pasporta-d.html, Два взгляда на нейтральные паспорта для Абхазии и Южной Осетии, 17.07.2011, Newcaucasus.com

სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას, ხოლო რუსეთში მაღალი ფასების გამო ხელი არ მიუწვდება სამედიცინო სერვისებზე, სულ უფრო ხშირად ჩამოდის სამკურნალოდ საქართველოში.

2014-2016 წლების ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რეფერალური პროგრამით საქართველოში სრული უფასო მკურნალობა გაიარა 4 426 ადამიანმა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, აქედან - 2 693 არის მოქალაქე აფხაზური პასპორტით და 1733 - ოსური პასპორტით.[14] ამ წლების მანძილზე საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის მოსახლეობის სამკურნალოდ გამოყო 16 500 000 ლარი (დაახლოებით 6 880 000 აშშ დოლარი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებმაც სამედიცინო მომსახურება მიიღეს საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო ინიციატივების (ნათესავები, მეგობრები) დახმარებით, რომელთა რაოდენობა, სავარაუდოდ, ორჯერ მეტია ოფიციალურ მონაცემებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ისახავდა მიზნად პოლიტიკური სტატუსის საკითხთან შეხებას, სტრატეგიის პრეამბულაში მკაფიოდაა ხაზგასმული საქართველოს ურყევი გადაწყვეტილება, მიაღწიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სრულ დეოკუპაციას, აგრეთვე ამ ტერიტორიების და მოსახლეობის რეინტეგრირებას საქართველოს ერთიან საკონსტიტუციო სივრცეში. სტრატეგიაში დიდი ყურადღება ეთმობა რუსეთის როლს კონფლიქტებში და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ რუსეთის ოკუპაციის პრიზმაში მოიაზრება და არ არის აღიარებული კონფლიქტის მხარეებად. ამგვარმა რიტორიკამ ანტაგონიზმი გამოიწვია აფხაზეთის ოფიციალური პირების მხრიდან, რომლებმაც არ მიიღეს სტრატეგია და უარი განაცხა-

14 ქეთევან ციხელაშვილის მოხსენება, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანხმობის საკითხებში, ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თემაზე - შერიგების და ნდობის აღდგენის პოლიტიკა, 2016 წლის 30 დეკემბერი

დეს მასში ასახული წინადადებების განხილვაზე. დოკუმენტი შეფასდა როგორც „რბილი ქრთამი“[15], როცა პასუხად ითქვა, რომ „აფხაზეთი არ აპირებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას და არ წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას“.[16]

ამგვარად, აშკარაა, რომ მიუხედავად დადებითი და პერსპექტიული წინადადებებისა, რომლებიც მიმართულია აფხაზურ მხარესთან ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების მოგვარების და აფხაზურ საზოგადობაში არსებული უამრავი პრობლემის გადაწყვეტისკენ, სტრატეგია ვერ გახდა მისაღები სოხუმისთვის. პირველ რიგში, მასში დეკლარირებული მიზნის „აფხაზეთის რეინტეგრირება საქართველოში“ და მეორეც - მოცემული დოკუმენტის არათანმიმდევრული ლოგიკის გამო. ერთი მხრივ, სტრატეგია მიმართულია აფხაზეთთან გაწყვეტილი ურთიერთობების და ნდობის აღდგენისკენ და, მეორე მხრივ, დოკუმენტის რიტორიკა უარყოფს კონფლიქტის არსებობას აფხაზეთთან, არ მოიაზრებს მას მხარედ, განიხილავს აფხაზეთს მხოლოდ მარიონეტის და რუსეთის ნების შემსრულებლის პრიზმაში. საქართველოს პოზიცია, არ აღიაროს აფხაზეთი კონფლიქტის მხარედ და უარყოს მისი ინტერესები კონფლიქტში, აგრეთვე ის, რომ მხარეებს არ შეუძლიათ სტატუს-ნეიტრალურ დიალოგზე გადასვლა, შემდგომშიც ხელს შეუშლის ნებისმიერი წინადადების განვითარებას, ორივე საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის და აქტუალობის მიუხედავად.

---

15 Civil.ge, „სოხუმი მკაცრად აკრიტიკებს თბილისს სტრატეგიის გამო“, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/eng/article.php?id=21944 (Sokhumi Slams Tbilisi's Strategy Paper)

16 აფსნიპრესი, სერგეი შამბა: „აფხაზეთი არ აპირებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, არ წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას და იაკობაშვილის ასერიგად ნალოლიავები სტრატეგია საჩვენო არ არის“, 24 ივნისი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.apsnypress.info/news/sergey-shamba-abkhaziya-ne-sobiraetsya-vozvrashchatsya-v-sostav-gruzii-ne-yavlyaetsya-okkupirovannoy (Сергей Шамба: «Абхазия не собирается возвращаться в состав Грузии, не является оккупированной территорией и стратегия, столь лелеемая Якобашвили, не для нас», 24 июня, 2010)

1.3. იზოლაცია თუ რუსეთისკენ ფართოდ გაღებული კარი

აფხაზეთის იზოლაციის საკითხი აქტუალური რჩება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების დროიდან, ფორმები და გამოვლინებები კი იცვლება პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებების შესაბამისად.

აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციები თავდაპირველად ძალაში შევიდა 1993 წელს გაეროს 876 რეზოლუციის თანახმად, რომელმაც აფხაზეთის მხარე დაადანაშაულა საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლების დარღვევასა და ქართველების „ეთნიკურ წმენდაში". რეზოლუცია მოუწოდებდა „ყველა სახელმწიფოს, არ დაუშვან მათი ტერიტორიებიდან ან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირთაგან აფხაზთა მხარისთვის ნებისმიერი დახმარების გაწევა, გარდა ჰუმანიტარულისა, განსაკუთრებით, არ დაუშვან ნებისმიერი სახის იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდება".[17] 1994-1995 წლებში, რუსეთ-ჩეჩნეთის წინააღმდეგობის პერიოდში, სეპარატისტული გამოწვევით შეშფოთებულმა მოსკოვმა დაკეტა საზღვარი აფხაზეთთან მდინარე ფსოუზე, რათა აღეკვეთა აფხაზეთის შესაძლო მონაწილეობა ჩეჩნეთის საომარ მოქმედებებში. 1996 წელს თანამეგობრობის (დსთ) სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ (ბელორუსიისა და თურქმენეთის გარდა) მიიღო რეზოლუცია „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების მიღწევის საშუალებების შესახებ", რომელმაც სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სამხედრო სანქციები დააწესა აფხაზეთის მიმართ და მოკვეთა ის გარესამყაროსგან. რეზოლუციის პირველ პარაგრაფში დაგმობილია „აფხაზეთის მხარის დესტრუქციული პოზიცია, რომელიც სირთულეებს ქმნის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაად-

17 რეზოლუცია 876 (1993), ხელმისაწვდომია ბმულზე https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/566/50/PDF/N9356650.pdf?OpenElement

გილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის გზაზე.“

მეექვსე მუხლი ადასტურებს, რომ დსთ-ს წევრებს საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე არ ექნებათ ეკონომიკური, ფინანსური თუ სატრანსპორტო კავშირები აფხაზეთის მთავრობასთან (დსთ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, 1996). პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის ბრძანებულებაში საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა: „დაიხუროს სოხუმის საზღვაო ნავსადგური, პორტპუნქტები, საზღვაო აკვატორია და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში ყველა სახის საერთაშორისო გადატვირთვისთვის, გარდა ამ ბრძანებულების შესაბამისად განხორციელებული ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის გადაზიდვისა“.[18]

აეროპორტიდან შეწყდა საერთაშორისო ფრენები, რკინიგზა კი მხოლოდ აფხაზეთის შიგნით მოქმედებდა. საზღვაო პორტები დახურული იყო სამგზავრო ნავებისთვის, აფხაზეთის გემებს კი არ შეეძლოთ პორტის დატოვება, რათა სურსათი შემოეტანათ თურქეთიდან. ადამიანების გადაადგილება აფხაზეთის ფარგლებს გარეთ შეიზღუდა. 16-დან 60 წლამდე მამაკაცებს აეკრძალათ საზღვრის გადაკვეთა რუსეთის მხარისკენ მდინარე ფსოუზე. საფოსტო სამსახურიც დაიბლოკა. 1997 წელს რუსეთმა გაამკაცრა ბლოკადა აფხაზეთში, მოწყვიტა რა ის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს. თურქეთიც დადებითად გამოეხმაურა დსთ-ს მოწოდებას აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების შესახებ, ამით მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორი-

18 ბურჯუ გიულტეკინ პუნსმანი, ზაალ ანჯაფარიძე, სოს ავეტისიანი, იზიდა ჭანია, ვადიმ რომაშოვი, რაშად შირინი, „იზოლაციის პოლიტიკის მიმოხილვა სამხრეთ კავკასიის შიგნით და ირგვლივ“, კავკასიის გამოშვება, 6 აგვისტო, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://caucasusedition.net/ru/аналитические-статьи/обзор-политики-изоляции-внутри-и-вокр/ (Кавказский Выпуск – Обзор политики изоляции внутри и вокруг Южного Кавказа, авторы: Бурджу Гюлтекин Пунсман, Заал Анджапаридзе, Сос Аветисян, Изида Чания, Вадим Ромашов, Рашад Ширин)

ული მთლიანობის პრინციპს და 1996 წელს გააუქმა პირდაპირი რეისები ტრაპიზონისა და სოხუმის პორტებს შორის. სიტუაცია შედარებით შეამსუბუქა აფხაზეთის მოსახლეობის არაფორმალურმა ვაჭრობამ და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა თურქეთთან, აგრეთვე მანდარინისა და თხილის სეზონურმა იატაკქვეშა ვაჭრობამ ოფიციალურად დახურული საზღვრის და გამყოფი ზოლის გასწვრივ.

იზოლაციის და შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ამ პერიოდში არ შეიმჩნეოდა რაიმე დადებითი და ხელშესახები ცვლილება საქართველოსა და აფხაზეთს შორის თანხმობის მიღწევის მხრივ.

საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ „სავაჭრო შეზღუდვები იწვევს დიდ სირთულეებს აფხაზეთში, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ აფხაზები აიძულოს, წავიდნენ პოლიტიკურ დათმობაზე, იზოლაციამ წარმოშვა საალყო მენტალიტეტი, რაც ამცირებს კომპრომისისკენ მიდრეკილებას “.[19]

საქართველოს პროდასავლური კურსის და ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის დეკლარირებული ნების შემდეგ, 1999 წლიდან, არსებითად შეიცვალა რუსეთის პოლიტიკური ვექტორი, რაც გამოიხატა აფხაზეთის მიმართ სანქციების რეჟიმის შერბილებაში. თავდაპირველად გამარტივდა საზღვრის გადაკვეთა მდინარე ფსოუზე, სამხედრო ასაკის მამაკაცებისათვის მოიხსნა საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა. დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებისთვის ნებადართული გახდა აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კი დაიწყეს რუსეთის პასპორტების აღება. აფხაზეთის პორტები გაიხსნა უცხოეთის ხომალდებისთვის, აფხაზეთის კურორტები კი - რუსეთიდან ჩამოსული ტურისტებისთვის, რამაც პრაქტიკულად გაათავისუფლა აფხაზეთი რუსეთის მხრიდან იზოლაციისგან.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ

19 ჯონათან კოენი, აკორდი, „ეკონომიკური ასპექტები“, 1999, (Джонатан Коэн, Аккорд, «Экономические аспекты», 1999)

აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და სექტემბერში დადო ხელშეკრულება აფხაზეთთან „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, შემდგომში კი „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის ნოემბერში. ამით არა მარტო გაზარდა აფხაზეთის მიმართ ფინანსური და სოციალური დახმარება, არამედ გაამყარა თავისი მონაწილეობა აფხაზეთის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში. აღნიშნული ხელშეკრულებებით რუსეთმა საგრძნობლად გააფართოვა თავისი გავლენა აფხაზეთზე და კიდევ უფრო დააშორა ის საქართველოს. აღიარების და აფხაზეთზე რუსეთის გაზრდილი გავლენის საპასუხოდ, 2009 წელს საქართველო იღებს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის თანახმადაც იკრძალება ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, საქართველოს ხელისუფლების წერილობითი თანხმობის გარეშე. ამას გარდა, კანონი ავალდებულებს აფხაზეთში მომუშავე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ყველა ქმედების კოორდინირებას ქართულ მხარესთან.

იზოლაციას საქართველოსთვის თვისობრივი ცვლილებები არ მოუტანია, პირიქით, მან გააღრმავა გაუცხოება და უნდობლობა ერთმანეთის პირისპირ მყოფ საზოგადოებებს შორის, აფხაზურ საზოგადოებაში ჩამოაყალიბა „გადარჩენილის“ ფსიქოლოგია. იზოლაციამ კიდევ უფრო გაამყარა საქართველოს სახით „მტრის ხატი“, რომელმაც გადაუკეტა აფხაზეთს ყველა კონტაქტი გარესამყაროსთან და გაწირა ის გაჭირვებისთვის. ამან არა მარტო გაართულა ორ საზოგადოებას შორის ურთიერთობა, არამედ მინიმუმამდე დაიყვანა ორ ხალხს შორის შერიგების შესაძლებლობა. ნაწილობრივი აღიარების და რეგიონში რუსეთის მზარდი სამხედრო და ეკონომიკური მონაწილეობის პირობებში, აფხაზები ვერ ხედავენ საფრთხეს საქართველოსგან და არც განიხილავენ მას განვითარების სასურველ წყაროდ.

საქართველოს მხრიდან წამოსული ნებისმიერი წინადადე-

ბა აღიქმება უნდობლობით და მიიღება უარით, რისი თვალსაჩინო მაგალითია „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“, რომელიც, ორივე საზოგადოების განვითარებისკენ მიმართული კონსტრუქციული იდეებისა და წინადადებების მიუხედავად, აფხაზეთის მთავრობამ მიიჩნია როგორც „ინსტრუქცია იმის თაობაზე, რისი გაკეთებაც არ შეიძლება“.[20]

რუსეთისკენ აფხაზეთის ფართოდ მიმართული მზერის შეცვლის და რეგიონზე ჩრდილოელი მეზობლის გავლენის შერბილების მცდელობა განხორციელდა ევროკავშირის მიერ 2009 წელს „არაღიარებისა და ურთიერთქმედების პოლიტიკის“ მიღებით. პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და ადამიანებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ, მიზნად ისახავდა ალტერნატიული საგარეო დღის წესრიგის შექმნას არსებული პრორუსული დისკურსის საპირწონედ და არაღიარებული ქვეყნების დეიზოლაციას გარესამყაროსგან. ევროპულ ქვეყნებთან კონტაქტების და ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციასა და მშვიდობიან მოგვარებაში გრძელვადიან პერსპექტივაში.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, პიტერ სემნების, განცხადების თანახმად (ის გახლავთ „პოლიტიკის“ მთავარი ავტორი), აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს ეკონომიკური ურთიერთობების შესაძლებლობების შექმნას, მცირე ბიზნესის განვითარებას, სატრანსპორტო - მათ შორის სარკინიგზო მიმოსვლა - კომუნიკაციების აღდგენას, მდინარე ენგურზე თავისუფალი გადაადგილების პირობების უზ-

20 Civil.ge, სოხუმი აკრიტიკებს თბილისის სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, 3 თებერვალი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/rus/article.php?id=20363&search=%F1%F2%F0%E0%F2%E5%E3%E8 (Сухуми критикует Стратегию Тбилиси по оккупированным территориям, 3 февраля, 2010)

რუნველყოფას, სტუდენტების გაცვლას, ჯანდაცვას და იგპ-თა დახმარებას.[21]

ამ მიდგომით დაინტერესდა საქართველოც და აფხაზეთიც[22], მაგრამ მან ვერ შეძლო სრულად ამოქმედება. ევროკავშირის „ურთიერთქმედება“ მეტწილად გამოიხატა შედარებით მცირემასშტაბიანი პროექტების მხარდაჭერაში სახალხო დიპლომატიისა და პოსტკონფლიქტური აღდგენის სფეროში. აღსანიშნავია, რომ საინტერესო ქართულ-აფხაზური ინიციატივები და პროექტები განხორციელდა ევროკავშირის პროგრამის „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმები“ ფარგლებში (COBERM), რომელმაც წარმოადგინა ფონდები სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებისათვის: ადამიანებს შორის კონტაქტების და დიალოგის გაუმჯობესება და აღდგენა, შემწყნარებლობის კულ-

---

21 აფსნიპრესი, პიტერ სემნებმა აფხაზეთის მთავრობასთან გამართულ შეხვედრებს „შინაარსიანი და ნაყოფიერი“ უწოდა, 14.07.2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.pro-abkhazia.eu/News-R-Yul2010.html; CivilGeorgia, „ევროკავშირის დიპლომატები: ნაკლები დაძაბულობა, მეტი შინაარსი არჩევნების დევნაში“, 15.05.10 ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/eng/article.php?id=22302 (Апсныпресс, «Питер Семнеби назвал состоявшиеся с руководством Абхазии встречи «содержательными и продуктивными», 14.07.2010, доступно на http://www.pro-abkhazia.eu/News-R-Yul2010.html; Civil Georgia, «Дипломаты ЕС: меньше напряженности, больше содержания в погоне за выборами», («EU Diplomat: Less Tensions, More Substance in Run Up to Elections»), 15.05.10

22 „2010 წლის ივლისში, პიტერ სემნების და მის უკან მდგარი ბრიუსელის პოზიციის კომენტირებისას, სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობას „ამ ეტაპზე ესმის ევროკავშირის პოზიცია არაღიარების და ევროპულ პროცესებსა და თანამეგობრობაში ჩართვის კუთხით“, „ჩვენ უნდა მიგვიღონ როგორც რუსეთის და რიგი სახელმწიფოების მიერ აღიარებული რესპუბლიკა. ჩვენ არ ვითხოვთ აღიარებას, გვესმის რა ვითარება, ჩვენ გახსნილები ვართ დიალოგისთვის, მაგრამ საჭიროა წინსვლა, რომ იყოს პოზიტივი“. ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.kontinent.org/article.php?aid=4c4e06bd5b740 (Новый Континент, «…В июле 2010 года, комментируя позицию Питера Семнеби и стоящего за ним Брюсселя, Сергей Багапш заявил, что власти республики «на этом этапе понимают позицию Евросоюза в плане непризнания и вовлечения в европейские процессы и сообщество»; «Нас надо принимать как признанную Россией и рядом неевропейских государств, республику. Мы не требуем признания, понимая ситуацию, мы открыты для диалога, но надо двигаться вперед, чтобы был позитив»)

ტურის ხელშეწყობა, ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერება მშვიდობის შენებაში მონაწილეობისათვის, უსაფრთხოების საკითხებზე რეაგირება, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების განვითარება და ა. შ. 2012-2016 წლებში ნდობის აღდგენის კუთხით მხარდაჭერილ იქნა 135 პროექტი და დაიხარჯა 9 მილიონ ევროზე მეტი.[23] მაგრამ სადღეისოდ არ შეიმჩნევა ხელშესახები შედეგები, რომელთაც შეუძლია შეასუსტოს რუსეთის გავლენა აფხაზეთზე, ან გააძლიეროს ეკონომიკური ურთიერთობები ევროპასთან.

ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ნებისმიერი პროგრამის განხორციელება, იქნება ეს სტუდენტთა გაცვლა თუ ეკონომიკური საქმიანობა, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის თანახმად, მიბმულია საქართველოს მხრიდან სანქცირებასა და მოწონებაზე. ხოლო გამოყოფილ რეგიონებთან ევროპის ურთიერთობის საკითხის სანქცირება საკმაოდ მტკივნეული და სენსიტიურია საქართველოსთვის, რადგან ის დაკავშირებულია შიშთან, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთობას აფხაზეთთან მოყვება ე.წ. „მცოცავი აღიარება“, ანუ ამ ტერიტორიას შესძენს სახელმწიფო სუვერენიტეტის მახასიათებელს, რაც გზას უხსნის დე-იურე აღიარებას.[24]

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიღებამ, რო-

---

23 ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, „ევროკავშირის ღონისძიებების შეფასება საქართველოში კონფლიქტის პრევენციის და მშვიდობის მშენებლობის კუთხით“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 16 ივნისი. 2017, გვ. 37-38, ხელმისაწვდომია ბმულზე // www.woscap.eu/documents/131298403/131299900/D3.2 Case+Study+Report+Georgia.docx_PU_11042017.pdf/8b8e51f2-643a-42f3-802f-6c6758617d0f;
COBERM, ევროკავშირის და UNDP-ის ერთობლივი ინიციატივები, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.coberm.net/uploads/other/0/340.pdf
(Nana Macharashvili, Ekaterine Basilaia, Nikoloz Samkharadze, «Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia", Ivane Javakhishvili State University,pp. 37-38
COBERM, A Joint EU-UNDP initiatives)

24 ტომას დე ვაალი, „ევროკავშირი და სეპარატისტული ტერიტორიები: როგორ გაუმჯობესდეს ურთიერთქმედება“, 12.04.2017, ხელმისაწვდომია ბმულზე http://carnegie.ru/2017/04/12/ru-pub-68650 (Томас Де Вааль, «ЕС и сепаратистские территории: как улучшить взаимодействие», 12.04.2017)

მელმაც განსაზღვრა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის წესი, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებამ არსებითად შეზღუდა დამოუკიდებელი ევროპული ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობები. მეორე მხრივ, ევროკავშირთან უფრო აქტიური თანამშრომლობით დაინტერესებული აფხაზეთი უნდობლობით ეკიდება აღნიშნულ პოლიტიკას, რადგან, აფხაზეთის საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებით, „კონფლიქტის დარეგულირების დაკავშირება საერთაშორისო დახმარების მიღებასთან ევროპულ სტრატეგიას ნეიტრალურობას უკარგავს... რაც აფხაზეთისთვის შეზღუდულ ხასიათს ატარებს“ და აფხაზეთის ზოგიერთ წრეებში განიხილება, როგორც „საქართველოში აფხაზეთის შეყვანის“ ინსტრუმენტი.[25] არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება რუსეთის საგრძნობი ეკონომიკური და სამხედრო გავლენა აფხაზეთში, რის გამოც ის იძულებულია, ფრთხილად მოეკიდოს ურთიერთობას ევროპელ პარტნიორებთან და ფონდებთან, რათა მოსკოვის ზედმეტი გაღიზიანება არ გამოიწვიოს.

აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ეჭვგარეშეა აფხაზეთის მზადყოფნა და ინტერესი, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებთან[26], ისევე, როგორც ევროპასაც შეუძლია, აფხაზეთს შესთავაზოს – განათლება, გადაადგილება, ეკონომიკური თანამშრომლობა, დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების განვითარება და გაძლიერება, თუმცა სადღეისოდ, არ არსებობს მხარეების მოქნილი და პრო-

25 Apsny.ru, ლიანა კვარჭელია, „არაღიარების პოლიტიკა - ნეიტრალიტეტი თუ პოლიტიზირება?“, 21.03.13, ხელმისაწვდომია ბმულზე http://apsny.ru/analytics/?ID=2615&PAGEN_1=53 (Лиана Кварчелия, «Политика «непризнания» – нейтралитет или политизация?», 21.03.13)

26 Wikileaks, „აფხაზეთი: ნდობის შენების საჭიროება“, 12.12.2015, 18 (C), 21 (C), ხელმისაწვდომია ბმულზე https://wikileaksga.wordpress.com/2005/12/12/05tbilisi3226-abkhazia-the-need-for-confidence-building/ (“Abkhazia: The Need for Confidence Building”)

აქტიური პოლიტიკა და ნება, რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული პროექტების რეალიზებას. აუცილებელია, დღეს ევროპამ შეიმუშავოს ინოვაციური მიდგომები აფხაზეთის უფრო მჭიდრო და აქტიური ჩართვისათვის, საქართველომ და აფხაზეთმა კი უფრო თამამი ნაბიჯები გადადგან ერთმანეთთან და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის.

1.4. გალის რაიონი – „აქილევსის ქუსლი" თუ უზარმაზარი რესურსი თანამშრომლობისთვის

გალის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული და მოწყვლადი რაიონია აფხაზეთში, ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შემდეგ. ქართველებით (უმეტესწილად - მეგრელებით) კომპაქტურად დასახლებული ადგილი მდინარე ენგურით ყოფს აფხაზეთს დანარჩენი საქართველოსგან და ქმნის გამყოფ ხაზს. ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის გალის რაიონში 47 000 ქართველი ცხოვრობს, მათგან 5 000 მუდმივად გადაადგილდება გალსა და ზუგდიდს შორის.[27] ეს არის მოსახლეობა, რომელიც, კონფლიქტის შედეგების, ნგრევის, არაერთგზის აყრის თუ შევიწროების მიუხედავად, დაუბრუნდა კერას და განაგრძობს ცხოვრებას თავის მიწაზე. მაგრამ აფხაზეთში შექმნილი პირობების გამო ისინი განწირულნი არიან მუდმივი შიშისა და უუფლებობისთვის.

საგულისხმოა, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ქართველებმა კიდევ უფრო დაუცველად და იზოლირებულად იგრძნეს თავი აფხაზეთში. მალევე, აფხაზეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, 2015 წელს, გალის რაიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომელმაც გარკვეულწილად გადაწონა არჩევნების

27 თავისუფლების სახლი, თავისუფლება მსოფლიოში, აფხაზეთი, 2015, ხელმისაწვდომია ბმულზე https://freedomhouse.org/report/freedom-world/2015/abkhazia (Freedom House, Freedom in the world, Abkhazia, 2015)

შედეგები სერგეი ბაღაფშის სასარგებლოდ[28], ჩამოერთვა აფხაზეთის მოქალაქეობა. მიზეზად დასახელდა აფხაზურთან ერთად საქართველოს მოქალაქეობა. ქართული საკითხი საკმაოდ პოლიტიზირებული გახდა, რამაც გამოიწვია 2013 წელს მიღებული „უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსის შესახებ“ კანონის აქტიური ამოქმედება. ამ კანონის თანახმად, პირს, რომელსაც გააჩნია საქართველოს მოქალაქეობა, პარალელურად არ შეუძლია ჰქონდეს აფხაზეთის მოქალაქეობა. კანონი გალის რაიონის მოსახლეობას სთავაზობს „ბინადრობის უფლებას“, მაგრამ ეს დოკუმენტი ზღუდავს მოსახლეობის ქართული ნაწილის პოლიტიკურ უფლებებს. ართმევს მათ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს როგორც ადგილობრივ, ისე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

პოლიტიკური უფლებების გარდა, უპასპორტოდ დარჩენილი გალის მოსახლეობისთვის დარღვეულია განათლების მიღების და მუშაობის უფლებები.

ბავშვებს, რომელთა მშობლებს არა აქვთ პასპორტები, არ აძლევენ დაბადების მოწმობას. შესაბამისად, საბუთების გარეშე დარჩენილ ბავშვებს არ ღებულობენ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. აფხაზური პასპორტის გარეშე მცხოვრებლები არ მიიღებიან საჯარო სამსახურში. ამგვარად, გალის რაიონის ადგილობრივ ადმინისტრაციაში პრაქტიკულად არ მუშაობენ ადგილობრივი მცხოვრებლები, მიუხედავად შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესონალიზმისა.[29]

2011 წლის სექტემბრიდან გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა ქართული სკოლები. სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე, რამაც მოსახლეობას, რომელიც მხოლოდ ქართულს ფლობს, წაართვა მშობლიურ ენაზე განათლების მიღე-

---

28 რუსეთის გავლენის საწინააღმდეგოდ განხილული კანდიდატი

29 აქცენტი, დიანა მუსელიანი „გალის რაიონის მცხოვრებლები - დადგება დრო, როცა ქართულ მხარეს ძალიან შერცხვება ამის გამო...“, 07.04.2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://accent.com.ge/ru/news/details/12005-Жители-Гальского-района--Настанет-время-когда-грузинской-стороне-будет-очень-стыдно-за-это… (Акцент, Диана Муселиани, «Жители Гальского района-Настанет время, когда грузинской стороне будет очень стыдно за это…»)

ბის უფლება. ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას, რომელსაც არა აქვს პასპორტები, არ შეუძლია სწავლა განაგრძოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში[30]. შექმნილმა ვითარებამ გაყო ის ოჯახები, რომელთა შვილებიც ვერ ფლობენ რუსულ ენას - დედები იძულებულნი გახდნენ, შვილებთან ერთად ზუგდიდში ან საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში გადასულიყვნენ, რათა ბავშვებს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება მისცენ.

საქართველოში ბევრმა ეს მდგომარეობა მიიჩნია „კულტურულ გენოციდად“ და გალის რაიონის მოსახლეობის რუსიფიკაციის მცდელობად.[31]

2017 წლის თებერვლიდან ძალაში შევიდა აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილება საქართველოსა და აფხაზეთს შორის არაღიარებული საზღვრის გასწვრივ დარჩენილი ორი გამშვები პუნქტის დახურვის შესახებ და ენგურის ხიდზე დატოვა ერთადერთი გადასასვლელი პუნქტი. გამშვები პუნქტის დახურვით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა შეეჯახა უამრავ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია საბაზისო სერვისებისა და საჭიროებების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან, აგრეთვე ეკონომიკურ აქტივობასთან და სოციალურ მოვლენებთან, როგორიცაა ქორწილი, დაკრძალვა, რამაც შეზღუდა ოჯახური ურთიერთობები გამყოფი ხაზის გასწვრივ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამედიცინო მომსახურების შეზღუდვა. პუნქტების დახურვით საგრძნობლად გაიზარდა დისტანცია ენგურის ხიდზე არსებულ ერთადერთ გამშვებ პუნქტამდე, ყოველ გაზრდილ საათს კი კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

გალელი ბავშვებისთვის საკმაოდ გართულდა განათლების მი-

---

30 თავისუფლების სახლი, თავისუფლება მსოფლიოში, აფხაზეთი, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე https://freedomhouse.org/report/freedom-world/2016/abkhazia (Freedom House, Freedom in the world, Abkhazia, 2016)

31 ეკატერინე გამახარია, კვლევის ანალიზი თემაზე „ქალთა მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, 2015 წელი, გვ. 21

ღება, რადგან მათთვის გამყოფი ხაზის გადაკვეთა სკოლებში მისასვლელად და მშობლიურ ენაზე გაკვეთილებზე დასასწრებად 60 კილომეტრზე მეტით გაიზარდა. გამშვები პუნქტის დახურვას გალის რაიონის მცხოვრებლები აფასებენ როგორც მცდელობას, მაქსიმალურად მოწყვიტონ ისინი კავშირებს ენგურის მეორე მხარეს.[32]

შექმნილი ვითარება ყურადღების გარეშე არ დარჩენია გაეროს გენერალურ მდივანს, რომელმაც 2016 წლის მაისში გენერალური ასამბლეისადმი თავის მოხსენებაში ოფიციალურ პირებს მოუწოდა, გადახედონ გადაწყვეტილებებს და თავიდან აიცილონ გამშვები პუნქტის დახურვა. მისი სიტყვებით, ადმინისტრაციული საზღვრის თავისუფალი გადაკვეთის საკითხი არის უსაფრთხოების, ჰუმანიტარული საკითხების და ადამიანის უფლებების საზომი და ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის.[33]

შექმნილი სიტუაციის გამო გალის რაიონის (განსაკუთრებით ქვედა ზონის) მცხოვრებლები რჩებიან აფხაზეთის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენად. დანაშაულის ზრდა, შეზღუდვები გადაადგილებაში, არასათანადო ყურადღება აფხაზეთის მთავრობის და მილიციის მხრიდან, მოსახლეობაში აძლიერებს დაუცველობის შეგრძნებას.[34]

ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობასთან ერთად გალის

---

32 ბი-ბი-სის რუსული სამსახური, არაღიარებული საზღვარი: აფხაზური გალის მცხოვრებლებს ეშინიათ იზოლაციის, 27 იანვარი, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.bbc.com/russian/features-38770628 (Русская служба Би-Би-Си, Непризнанная граница: жители абхазского Гали опасаются изоляции, Русская служба Би-би-си, 27 января, 2016)

33 Apsny.ge, გაერო შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის რეჟიმის გადაწყვეტილების გამო ენგურის გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით, 26.01.2017, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.apsny.ge/2017/conf/1485480001.php (ООН выражает обеспокоенность решением режима в Абхазии закрыть пункты пропуска на Ингури, 26.01.2017)

34 დემოკრატიის ინსტიტუტი და Saferworld, „უსაფრთხოება ყველასთვის - ამოცანა, რომლის მოგვარებაც საჭიროა აღმოსავლეთ აფხაზეთში, თემთა გამოკითხვის შედეგები, 2013, გვ 10-13, ხელმისაწვდომია ბმულზე file:///C:/Users/Acer/Downloads/Security-for-all-Russian-version.pdf (Институт демократии и Saferworld, "Безопасность для всех – задача, которую предстоит решить в Восточной Абхазии, Результаты опроса общин", 2013, стр. 10-13)

მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს არასაკმარისი მზრუნველობა არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. მათი თქმით, შეინიშნება საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის პრაქტიკა სოხუმში მოქმედ ორგანიზაციებთან და ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება გალის მოსახლეობის პრობლემები.[35]

პარადოქსია, რომ აფხაზეთი და იქ მცხოვრები, მწარე ისტორიული მოგონებებით დამძიმებული საზოგადოება, რომელმაც მუჰაჯირობის დროს გადაიტანა დევნის ყველა სიძნელე, საბჭოთა რეჟიმის დროს კი სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლების გაუქმების სიმწარე, საყვედურობს საქართველოს უმოქმედობასა და შექმნილი უსამართლობის თანამონაწილეობაში. და დღეს იმაზე ბევრად დიდ განსაცდელში და უუფლებობაში ჰყავს გალის რაიონის ქართული მოსახლეობა, ვიდრე თავად განუცდია ოდესმე.

სადღეისოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის უფლებების დარღვევა და მათი პრობლემების მიმართ უყურადღებობა აძლიერებს გალის რაიონის მცხოვრებთა იზოლირებას, ზრდის დაძაბულობას, უნდობლობის ატმოსფეროს და დაპირისპირებას ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

უზარმაზარი აგრარული რესურსის მქონე გალის რაიონს, მხარეებს შორის თანამშრომლობის ფორმების პოვნის შემთხვევაში, ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში და ხელს შეუწყობს კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. ამის მიუხედავად, ის ამჟამად იმყოფება იზოლაციის და ბუნდოვანი პერსპექტივების პირობებში. ამას გარდა,

35 აქცენტი, დიანა მუსელიანი „გალის რაიონის მცხოვრებლები - დადგება დრო, როცა ქართულ მხარეს ძალიან შერცხვება ამის გამო...“, 07.04.2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://accent.com.ge/ru/news/details/12005-Жители-Гальского-района--Настанет-время-когда-грузинской-стороне-будет-очень-стыдно-за-это… (Акцент, Диана Муселиани, «Жители Гальского района - Настанет время, когда грузинской стороне будет очень стыдно за это…», 07.04.2016)

გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც კონფლიქ-ტამდეც და კონფლიქტის შემდეგაც აფხაზებთან თანაცხოვრე-ბის დიდი გამოცდილება აქვთ, შეუძლიათ პოზიტიური და მნიშ-ვნელოვანი როლის შესრულება კონფლიქტით დაშორიშორე-ბული საზოგადოებების შერიგებასა და ნდობის აღდგენაში. ეს თანამშრომლობის უდიდეს რესურსად შეიძლება იქცეს ორივე მხარეს შორის, რაც მიმართული იქნება საზოგადოების განვი-თარების პირობების შექმნისა და გაძლიერებისთვის როგორც აფხაზეთში, ისე მთლიანად საქართველოში.

ნაწილი II: გზა წინ

2.1. „სტატუს-ნეიტრალური“ მიდგომის მნიშვნელობა

დღეისათვის შექმნილი რეალობა აჩვენებს, რომ მხარეების საბოლოო მიზნების - „ტერიტორიული მთლიანობა“, „დამოუკიდებლობა“, ან გამოყოფილი ტერიტორიების „დეოკუპაცია“ - ხსენებას ჩიხში შეყავს ნებისმიერი საკითხის განხილვა - იმისიც კი, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ორივე საზოგადოების ინტერესებში შედის. შესაბამისად, საქართველომ უნდა გადახედოს აფხაზეთთან ურთიერთობის სტრატეგიას, გამოიყენოს „სტატუს-ნეიტრალური“ რიტორიკა, ფოკუსირება მოახდინოს ნდობის აღდგენის მნიშვნელობაზე, აფხაზურ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც აფერხებს როგორც ქართული, ისე აფხაზური მოსახლეობის ნორმალურ საქმიანობას და განვითარებას. ისევე, როგორც არ შეიძლება სახლის მშენებლობის დაწყება სახურავიდან, შეუძლებელია საბოლოო სტატუსი იქცეს საწყის წერტილად აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროს. მხარეები უნდა დასცილდნენ ტრადიციულ მიდგომებს, გაიაზრონ, რომ საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება წინასწარ ჩაყრილ საფუძველზე და დაიწყონ აგურების დაწყობა, პირველ რიგში, მშვიდობის მშენებლობის და მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

აღნიშნული მიდგომა მოითხოვს იმას, რომ კონფლიქტის მოგვარება განხილულ იქნას როგორც გრძელვადიანი, ეტაპობრივი და მოწესრიგებული პროცესი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ღია შედეგები. საჭიროა, მხარეები, უპირველესად, შეთანხმდნენ კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის გზებსა და სტადი-

ებზე, ვიდრე განიხილონ და შეათანხმონ საბოლოო შედეგები.[36] გაჭიანურებული და უნაყოფო მოლაპარაკების პროცესი, მოუგვარებელი პრობლემები საზოგადოებაში იწვევს უიმედობას, ნიჰილიზმს და კიდევ უფრო მეტი უნდობლობით განაწყობს პოლიტიკური პროცესის მიმართ, რაც ხელს უწყობს აგრესიას და ქმნის დესტაბილიზაციის რისკს რეგიონში.

ყველაზე რეალურ და კონსტრუქციულ მიდგომად აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობის კუთხით პროგრესის მიღწევისა და დღეს არსებული სხვადასხვა ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური პრობლემის მოგვარებისათვის არის სტატუს-ნეიტრალური მიდგომა. მაშინაც კი, როცა არსებობს ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციები საბოლოო სტატუსის და კონფლიქტის დარეგულირების შედეგის მიმართ, შესაძლებელია დიალოგის და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი - კონკრეტული ქმედებების დაწყება. საჭიროა, რომ საქართველო და აფხაზეთი მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ არ ეთანხმებიან აფხაზეთის საბოლოო სტატუსის საკითხს და დაიწყონ სტატუსისგან ნეიტრალური მიდგომის გამოყენება. ეს მიდგომა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არ განაგრძობს არაღიარების პოლიტიკას, ან სოხუმი შეწყვეტს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ „მხარეები თანხმდებიან, რომ არ ეთანხმებიან“ სტატუსის საკითხებში[37].

---

36 თაბიბ ჰუსეინოვი, „შუალედური ინტერვენციის სტრატეგია კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის სამხრეთ კავკასიაში“, კავკასიის მიმოხილვა, ტომი 2, 2014. გვ. 130. ხელმისაწვდომია ბმულზე http://dx.doi.org/10.1080/23761199.2014.11417305 (Табиб Гусейнов, «Стратегии промежуточных интервенций для трансформации конфликтов на Южном Кавказе», Кавказский обзор, Том 2, 2014, стр. 130)

37 რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგების გზების ძიებაში, სერგი კაპანაძე, „ვეთანხმებით, რომ არ შეგვიძლია თანხმობის მიღწევა! რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში სტატუს-ნეიტრალური მიდგომის პოზიტიური ასპექტები“, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდი, 2014, გვ. 81-82, ხელმისაწვდომია ბმულზე http://gfsis.org/files/library/pdf/Russian-1958.pdf (В поисках путей нормализации Российско-Грузинских отношений, Серги Капанадзе, «Согласны, что не можем прийти к Согласию! Позитивные аспекты статус-нейтральных отношений между Россией и Грузией», Грузинский фонд стратегических и международных исследований, 2014, стр 81-82)

სტატუსთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა შეუთანხმებლობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ადამიანებს შორის ურთიერთობების აღდგენასა და გაუმჯობესებაზე. ურთიერთობების გაუმჯობესება კი მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობითაა შესაძლებელი. კონკრეტული ქმედებები, როგორიცაა გარანტიების შექმნა ომის შედეგად გაყოფილ დასახლებულ პუნქტებს შორის თავისუფალი გადაადგილებისათვის, ურთიერთობა ვაჭრობის სფეროში, განათლებაში, ჯანდაცვაში, ეკოლოგიაში, კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში - რაც, სტატუს-ნეიტრალურ ფორმულირებაზე იქნება დაფუძნებული, ხელს შეუწყობს მდგრადი გარემოს შექმნას, მშვიდობიან განვითარებას და კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას.

მხარეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სწორედ სტატუს-ნეიტრალური მიდგომა უნდა გახდეს საწყისი წერტილი ერთმანეთთან პოლიტიკური დიალოგის წარმართვისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ეს პრინციპი ორივე მხარემ უნდა გაიზიაროს. სტატუს-ნეიტრალური მიდგომის აღიარება და გამოყენება მხოლოდ საქართველოს მხრიდან არა მარტო არავითარ შედეგს არ გამოიღებს, არამედ შეიძლება კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს.

2.2 სუვერენიტეტის არაღიარება, მაგრამ აფხაზეთთან კონფლიქტის აღიარება

აფხაზეთის, როგორც კონფლიქტის მხარის, უარყოფა და აფხაზურ მხარესთან პირდაპირი დიალოგის უქონლობა დესტრუქციულ როლს ასრულებს კონფლიქტის მოგვარების გზების ძიების პროცესში. საჭიროა იმის აღიარება, რომ მშვიდობის შენება, აფხაზეთის და საქართველოს საზოგადოებებს შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა შეუძლებელი იქნება, თუ არსებული კონფლიქტი მხოლოდ რუსეთს მიეწერება და იგნორირებული და უარყოფილი იქნება აფხაზური მხარის გულისტკივილი და ინტერესები. აუცილებელია ერთმანეთისგან დაცალკევდეს კონ-

ფლიქტი აფხაზეთთან და კონფლიქტი რუსეთთან და მოლაპარაკება ორივე მხარესთან პარალელურად გაიმართოს. კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებული და უშედეგო პროცესის მკვდარი წერტილიდან დაძვრისათვის, მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება მიექცეს კონფლიქტის შიდასახელმწიფოებრივ და არა სახელმწიფოთაშორის დინამიკას. საზოგადოების შიგნით ეთნიკური საზომი და ინტერესები ცენტრალურ ფოკუსად უნდა იქცეს დიალოგის პროცესში, რის შედეგადაც შეიქმნება შესაძლებელობა, მეტი ყურადღება დაეთმოს აფხაზეთში მცხოვრებ საზოგადოებას და არა დიდი პოლიტიკური თამაშის მონაწილეებს.

დადგა დრო, გაძლიერებული გეოპოლიტიკური ჭრილიდან ორიენტირება გაკეთდეს თემთაშორის დიალოგის აღდგენასა და გაუმჯობესებაზე და პირდაპირ მოქმედებაზე. ადამიანებს პირდაპირ არ ძალუძთ პოლიტიკაზე ზემოქმედება, მაგრამ მათ უსათუოდ შეუძლიათ თავიანთ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე გავლენა.

2.3 აფხაზეთის უფრო აქტიური ჩართვა და თანამშრომლობა ევროპულ სტრუქტურებთან

აშკარაა, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საერთაშორისო ინსტიტუტს, რომელსაც შეუძლია დინამიკა შესძინოს გაჭიანურებული კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. პირველ რიგში, ეს ეფუძნება აფხაზეთის პოზიტიურ დამოკიდებულებას ევროპის მიმართ და აფხაზეთის მთავრობის მხრიდან გამოვლენილ ინტერესს ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის კუთხით. ამას გარდა, ევროკავშირი არის გაერთიანება, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების წარმატებული მოგვარების გამოცდილება გააჩნია, ასევე აქვს მის ფარგლებს გარეთ ანალოგიური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული ინსტრუმენტები და რესურსები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სწორედ ევროკავშირი შეიძლება იქცეს გაბატონებული პრორუსული ორი-

ენტაციის ალტერნატივად, რაც კარებს გაუხსნის აფხაზეთში კონფლიქტის ტრანსფორმაციის ახალ მიდგომებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პოლიტიკამ „ჩართულობა აღიარების გარეშე“ ვერ შეძლო ეფექტურ პოლიტიკად ტრანსფორმირება და არ არის ამოქმედებული სასურველი მოცულობით, აუცილებელია ამ სტრატეგიის პოტენციალის და შესაძლებლობების აღიარება და მისი მიზნების და ამოცანების ნეიტრალური და აპოლიტიკური შინაარსით შევსება. საჭიროა ევროკავშირს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის „ჩართულობის“ კონსტრუქციული დიალოგის დაწყების მნიშვნელობის გააზრება ისე, რომ ის დისტანცირებულ იქნას სტატუსის საკითხისგან და არ შეეხოს კონფლიქტის მოგვარების საბოლოო მიზნებს. უნდა შემუშავდეს კონკრეტული ქმედებები, რომლებიც მიმართული იქნება ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ხელისშემშლელი პრობლემების მოგვარებისა და აფხაზეთის მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების შექმნისკენ, რაც მოიცავს: გადაადგილების თავისუფლებას აფხაზეთის ყველა მცხოვრებისთვის, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, უსაფრთხოებას, განვითარების პროგრამებს, ჯანდაცვას, ეკონომიკურ თანამშრომლობას, განათლებას, სტუდენტთა გაცვლას და სხვა. ეს დაეხმარება არა მარტო საზოგადოებებს შორის ნდობის შენებას, არამედ შექმნის უფრო მყარ გარანტიებს მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის რეგიონში. ევროკავშირის და სხვა ქვეყნების უფრო მჭიდრო თანამშრომლობა აფხაზეთთან ასევე ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობას და დემოკრატიულ მმართველობას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს იმ ინსტიტუტების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი მოსახლეობის უფლებების, მათ შორის ეთნიკური ქართველების უფლებების და თავისუფლებების დაცვის პასუხისმგებლობა.[38]

---

38 თაბიბ ჰუსეინოვი, „შუალედური ინტერვენციის სტრატეგია კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის სამხრეთ კავკასიაში“, კავკასიის მიმოხილვა, ტომი 2, 2014. გვ. 130-141, ხელმისაწვდომია ბმულზე http://dx.doi.org/10.1080/23761199.2014.11417305 (Tabib Huseynov (2014) Transitional intervention strategies for conflict transformation in the South Caucasus, Caucasus Survey, 2:1-2, 130-141)

წლების განმავლობაში თბილისის მხრიდან გატარებული იზოლაციის პოლიტიკა კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა - აფხაზეთი მთლიანად რუსეთზე გახდა დამოკიდებული. დღეს აფხაზეთისთვის ევროპის გახსნა არის აფხაზეთზე რუსეთის გავლენის შესუსტების და აფხაზეთთან თანამშრომლობის პირობების შექმნის ყველაზე ქმედითი მექანიზმი და ბერკეტი. მხოლოდ ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის შემთხვევაში აქვთ საქართველოსა და აფხაზეთს რუსეთისგან დამოუკიდებელი ურთიერთობების აგების შანსი, რაც შეიძლება გახდეს წარმატებული ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის წინაპირობა. ეს გამოიწვევს ორ საზოგადოებას შორის ნდობის გაზრდას, დააახლოებს კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების შესაძლებლობას, რაც დაფუძნებული იქნება ორივე მხარის ინტერესებზე.

2.4 გალი - პლატფორმა თანამშრომლობისა და განვითარებისათვის

უნდა აღინიშნოს, რომ ომისშემდგომი განვითარების ბოლო 25 წლის განმავლობაში პოლიტიკურმა ლიდერებმა როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში ვერ შეძლეს სისტემური პოლიტიკის ჩამოყალიბება და მკაფიო სტრატეგიის შემუშავება გალის რაიონის მცხოვრებთა მიმართ. ერთადერთი ადგილი, სადაც აფხაზეთის ხელისუფლებამ დაუშვა ქართველი მოსახლეობის დაბრუნება, დღეისთვის რჩება ყურადღების ზონის მიღმა როგორც აფხაზური, ისე ქართული მთავრობის მხრიდან (საქართველოს შემთხვევაში - რეგიონის მიმართ შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო). ამ რაიონის მცხოვრებლები აღმოჩნდნენ იზოლაციაში და განიცდიან დისკრიმინაციას მთელ რიგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებში.

გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც აფხაზებთან თანაცხოვრების დიდი გამოცდილება აქვთ კონფლიქტამდეც და კონფლიქტის შემდეგაც, შეუძლიათ პოზიტიური და მნიშვნე-

ლოვანი როლის შესრულება კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასა და აფხაზეთში მშვიდობის დამყარებაში. ეს შეიძლება გახდეს უზარმაზარი რესურსი ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობასა და თანამშრომლობაში.

გალის რაიონი მდიდარია აგრარული რესურსით და, ურთიერთობისა და თანამშრომლობის ფორმების ძიების შემთხვევაში, უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ როგორც აფხაზეთისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის.

საჭიროა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარება გალის რაიონის მიზანმიმართული განვითარებისათვის. პირველ რიგში, სათანადო ქმედითი მექანიზმების შექმნა ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისა და ქართველების ღირსეული ცხოვრებისათვის თავიანთ სახლებში დისკრიმინაციისა და ზეწოლის შიშის გარეშე. მეორე რიგში - ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული ხასიათის პროგრამების შემუშავება.

აფხაზურმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გალის რაიონის მჭიდრო კავშირისა საქართველოსთან, ახლო ნათესაური კავშირებისა ზუგდიდისა და საქართველოს სხვა რაიონებში, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მხრიდან შეთავაზებული შეღავათებისა და დახმარებისა, მიუხედავად ყველა სიძნელისა და პრობლემისა, გალის მცხოვრებლებმა მაინც გადაწყვიტეს აფხაზეთში, თავიანთ სახლებში ცხოვრება და თავს აფხაზური საზოგადოების ნაწილად მიიჩნევენ. წინააღმდეგობები გადაადგილებაში საქართველოსთან კავშირის გასაწყვეტად, აგრეთვე ამ სპეციფიკური რაიონის მცხოვრებთა მიმართ დისკრიმინაცია და იზოლაციის პოლიტიკა ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო გალის რაიონის მოსახლეობაზე, შეიცავს დესტაბილიზაციის რისკს და დაძაბულობას მთელ აფხაზეთში, არამედ ენგურსგაღმა მყოფ ქართულ მოსახლეობას განაწყობს აფხაზური საზოგადოების წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის შერიგებისა და მშვიდობის შენების პროცესს.

მეტი ინტეგრაციისა და თემთა შორის ნდობის აღდგენის-

თვის, აგრეთვე გალის რაიონში ქართველთა ღირსეული ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია აფხაზეთში ინტერ-ეთნიკური დიალოგის პრაქტიკული მექანიზმების შექმნა და გალის მცხოვრებთა მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივ მთავრობასთან, ასევე სხვა პოლიტიკურ მოთამაშეებთან.

მოცემული მექანიზმების არსებობა ხელს შეუწყობს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის იზოლაციის დაძლევას, მისცემს მათ საშუალებას, უფრო აქტიურად განაცხადონ თავიანთი პრობლემების შესახებ ადამიანის უფლებების კუთხით და შესთავაზონ კონკრეტული ზომები მათი მოგვარებისთვის.

ამას გარდა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შიშის გრძნობის დასაძლევად მნიშვნელოვანია გალის მოსახლეობის უფრო მჭიდრო კონტაქტი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან უსაფრთხოების მაღალი რისკის მქონე ადგილების აქტიური პატრულირების მეშვეობით, ან ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრების პრაქტიკის დანერგვით და საჩივრების წარდგენისა და განხილვის ეფექტური მექანიზმის შექმნით. აუცილებელია გალის რაიონში მცხოვრები ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემის პროცესის გამარტივებაც - მათი უფრო აქტიური ჩართვისთვის ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების და სამართალდამცავი ორგანოების სამსახურებში. ეს ხელსაყრელ პირობებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის უფრო დაცულობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

გალის საკითხის მოგვარება დაეხმარება აფხაზეთს, ჩააბაროს მნიშვნელოვანი გამოცდა ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების და საქმიანობის დემოკრატიული ევროპული სტანდარტების შექმნის გზაზე, რაც ეფუძნება ადამიანის უფლებების პატივისცემას, დისკრიმინაციისგან თავისუფლებას და სამართლიანობას. გალის რაიონის მიმართ ახალი სტრატეგიის შემუშავება, საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობებს შორის სტატუს-ნეიტრალური კონსენსუსის საფუძველზე, ევროპული სტრუქტურების დახმარებითა და თანამშრომლობით ხელს შეუწყობს აფხაზეთის

უფრო აქტიურ ურთიერთობას ევროპულ სტრუქტურებთან და მშვიდობის უზრუნველყოფას აფხაზეთში.

2.5 აქტიური მუშაობა სახალხო დიპლომატიის სფეროში და ქალთა როლის ამაღლება

ოფიციალურ მოლაპარაკებებს კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის შენების პროცესში დღემდე ხელშესახები შედეგები არ მოუტანია ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების და ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენლების უკომპრომისო მიდგომის გამო. სწორედ ამ პირობებში საზოგადოებრივი ინიციატივები შედარებით თავისუფალი სივრცეა ღია და კონსტრუქციული დიალოგისთვის, ახალი იდეების შემუშავებისა და გაჭიანურებული კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისკენ მიმართული კონკრეტული ქმედებების განხორციელებისთვის. საზოგადოებრივი დიპლომატიის არაფორმალური ხასიათი განსაკუთრებით ღირებულია, რადგან მიმართულია კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ ადამიანებს შორის კონტაქტების აღდგენისაკენ და საზოგადოების საჭირბოროტო კონკრეტული პრობლემების მოგვარებისთვის გამიზნული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, უდიდესი როლის მიუხედავად, რომლის შესრულებაც შეუძლია საზოგადოებრივ დიპლომატიას კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში, მას თავისი ლიმიტი გააჩნია. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ინიციატივები მეტწილად დამოკიდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაზე, რაც ხშირად არაგრძელვადიანია, მაგალითად, ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესისგან განსხვავებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პირველ სტადიაზე მხარდაჭერილი პილოტური პროექტები შემდგომი დაფინანსების გარეშე რჩება, რაც აჩერებს საინტერესო და მნიშვნელოვან ინიციატივებს და აქტივობებს, რომელთაც გაგრძელება და განვითარება ესაჭიროება. გარდა

ამისა, საზოგადოებრივ დიპლომატიას ყოველთვის არ გამოსდის პოლიტიკური დისკურსისგან დისტანცირება და ბალანსირებული ნეიტრალური მიდგომის შენარჩუნება,[39] რის გამოც საზოგადოებას უნდობლობა უჩნდება მის მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორი როგორც საქართველოში, ისე აფხაზეთში, ჩაერთოს ღია და დეპოლიტიზირებულ დისკუსიებში მშვიდობის შენებისა და უსაფრთხოების წარსული და მომავალი კურსის საკითხებზე. სამოქალაქო საზოგადოების რაც უფრო მეტი აქტივისტი შეძლებს დისტანცირებას პოლიტიკური თემისგან, ერთმანეთთან ურთიერთობით, მეტი აქცენტით ადამიანთა უფლებების კატეგორიებზე და ჰუმანიტარულ საკითხებზე, მით უფრო ნაყოფიერი იქნება თანამშრომლობა და ადამიანების კონკრეტული პრობლემების მოგვარებისკენ მიმართული მუშაობა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური საკითხები არ უნდა იყოს საზოგადოებრივი დისკუსიების ნაწილი, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების დონეზე პოლიტიკური არგუმენტები არ უნდა გამოიყენებოდეს კონკრეტული ქმედებებისგან თავის არიდების პრეტექსტად, რომლებიც მიმართულია ადამიანთა უფლებების დაცვისა და საზოგადოების საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისკენ. ამას გარდა, ხაზი უნდა გაესვას ქალთა ჩართვის მნიშვნელობას მშვიდობის შენების პროცესში. მაშინ, როცა ქალები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ ფორმალური მოლაპარაკების პროცესში, მათ ლიდერული პოზიციები უკავიათ საზოგადოებრივი დიპლომატიის და პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის სფეროში. ერთმანეთის გაგებით, ერთმანეთის სიღრმისეული განცდების და საფრთხეების მიღებით, ნდობის შენებით და სამშვიდობო ურ-

39 ისკრა კიროვა, საზოგადოებრივი დიპლომატია და კონფლიქტების მოგვარება: რუსეთი, საქართველო, ევროკავშირი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, 2012, გვ. 62-63, ხელმისაწვდომია ბმულზე http://uscpublicdiplomacy.org/sites/uscpublicdiplomacy.org/files/useruploads/u35361/2012%20Paper%207.pdf (Iskra Kirova, Public diplomacy and conflict resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia, CPD Perspective on Public Diplomacy, Paper #7, 2012, pages 62-63)

თიერთობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებით, ქალები ცდილობენ, გზა გაკვალონ ხანგრძლივი, სტაბილური და მშვიდობიანი მომავლისაკენ. აუცილებელია მშვიდობის შენების და ნდობის აღდგენის პროცესში ქალთა ჯგუფების ჩართვა და გაძლიერება და ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა. ქალებს ორივე მხარეზე, „რომელთაც გააჩნიათ კონფლიქტურ მხარესთან ერთობლივი მუშაობის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება, ქალებს, რომელთაც განვლეს გრძელი და რთული გზა სახალხო დიპლომატიის ფარგლებში უშუალო დიალოგის დასამყარებლად, შეუძლიათ იდეათა უდიდესი კაპიტალის ინვესტირება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში... ქალებს შეუძლიათ, პოლიტიკური საკითხების გვერდის ავლით, ფოკუსირება მოახდინონ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების სოციალურ და ჰუმანიტარულ პრობლემებზე, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, საარსებო სახსრების უზრუნველყოფა, თემთა შორის ურთიერთობები, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა აუცილებელია მდგრადი მშვიდობის მიღწევისათვის“.[40]

40 ეკატერინე გამახარია, კვლევის ანალიზი თემაზე „ქალთა მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, 2015 წელი, გვ. 9, გვ 24.

დასკვნა

მოცემული ანალიზი ადასტურებს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირება მოითხოვს შეთანხმებულ, ეტაპობრივ, ღია და გაბედულ მიდგომას. კონსტრუქციული სამშვიდობო პროცესი საჭიროებს აფხაზეთის და საქართველოს მხრიდან მათ შორის არსებული სხვადასხვა პოზიციის აღიარებას და შეთანხმებას მასზედ, რომ ნებისმიერი საკითხი, მიუხედავად მისი სიმწვავისა და სირთულისა, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

წინსვლის ერთადერთი გზა დღეისათვის - ეს არის იმის გააზრება და მიღება, რომ აუცილებელია საბოლოო პოლიტიკური მიზნების გადადება და ადამიანთა უფლებების დაცვასა და შექმნილი სიტუაციის გამო რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების დახმარებაზე ფოკუსირება. კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებულ და უშედეგო პროცესში მცირეოდენი პროგრესისთვის საჭიროა ორივე მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვა, ჭეშმარიტი მონაწილეობა და დიდი სიმამაცე. მხარეებმა უნდა მიიღონ, რომ სამშვიდობო პროცესის შედეგები შეიძლება იყოს ნებისმიერი - რეინტეგრაციიდან დამოუკიდებლობამდე. და ამ საბოლოო გადაწყვეტილებას უნდა უძღოდეს ეტაპობრივი და თანამიმდევრული ქმედებები კონფლიქტით გაყოფილი მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ორივე მხარის საზოგადოება, პირველ რიგში, დაინტერესებულია ჰარმონიული განვითარების, აღორძინების პირობების შექმნით, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით. სამშვიდობო პროცესის ხანგრძლივ გზაზე უამრავი გაკვეთილი დაგროვდა და საჭიროა წარსული წარუმატებლობის თუ წარმატებების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია კონფლიქტის ყველა მხარემ და მოთამაშემ, სამოქალაქო

საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღიარონ და გააცნობიერონ, რომ დღეს უკან დაბრუნება არ შეიძლება. ასევე შეუძლებელია მუდმივად სტატუს-კვოს დონეზე დარჩენა. გაბედული და კონსტრუქციული ქმედებებით აუცილებელია არსებული მოჯადოებული წრის გარღვევა და მკვდარი წერტილიდან დაძვრა, ასევე შექმნილი რეალიების და შეცვლილი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით „დროებითი შეთანხმების“ (modus vivendi) შექმნა, როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოების სწრაფვა მშვიდობიანი ცხოვრების, საქმიანობისა და განვითარების პირობების შექმნისკენ.

ბიბლიოგრაფია

გამოცემები

ბურჯუ გიულტეკინ პუნსმანი, ზაალ ანჯაფარიძე, სოს ავეტისიანი, იზიდა ჭანია, ვადიმ რომაშოვი, რაშად შირინი, „იზოლაციის პოლიტიკის მიმოხილვა სამხრეთ კავკასიის შიგნით და ირგვლივ“, კავკასიის გამოშვება, 6 აგვისტო, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://caucasusedition.net/ru/аналитические-статьи/обзор-политики-изоляции-внутри-и-вокр/

ბრუნო კოპიტერსი, „ევროპეიზაცია და კონფლიქტების მოგვარება: ევროპული პერიფერიების კონკრეტული კვლევები“, თავი 5 - ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, 2005, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/orderbooks/ecr/ecr_197-236.pdf

ვახტანგ ყოლბაია, ივლიანე ხაინდრავა, ნოდარ სარჯველაძე, ელენე ჩომახიძე, არჩილ გეგეშიძე, „საომარი მოქმედებების განუახლებლობის გარანტიები: საფრთხეები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2009

ვიაჩესლავ ჩირიკბა, საქართველო და აფხაზეთი: წინადადებები კონსტიტუციური მოდელისთვის, 1999, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/orderbooks/federal_r/17chirikba.pdf

გია ნოდია, „2008 წლის აგვისტოს ომი: ძირითადი შედეგები საქართველოსა და მისი კონფლიქტისთვის“, 2012

ჯონ ო’ ლაფლინი, ვლადიმერ კოლოსოვი, ჯერარდ ტოული „აფხაზეთის შიგნით; მოსაზრებათა მიმოხილვა დე-ფაქტო სახელმწიფოში“, 2013, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.colorado.edu/ibs/intdev/johno/pub/InsideAbkhazia.pdf

ჯონათან კოენი, აკორდი, „ეკონომიკური ასპექტები“, 1999

ეკატერინე გამახარია, კვლევის ანალიზი თემაზე „ქალთა მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, 2015

ისკრა კიროვა, საზოგადოებრივი დიპლომატია და კონფლიქტების მოგვარება: რუსეთი, საქართველო, ევროკავშირი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, 2012, ხელმისაწვდომია ბმულზე http://uscpublicdiplomacy.org/sites/uscpublicdiplomacy.org/files/useruploads/u35361/2012%20Paper%207.pdf

დემოკრატიის ინსტიტუტი და Saferworld, „უსაფრთხოება ყველასთვის - ამოცანა, რომლის მოგვარებაც საჭიროა აღმოსავლეთ აფხაზეთში, თემთა გამოკითხვის შედეგები, 2013, ხელმისაწვდომია ბმულზე file:///C:/Users/Acer/Downloads/Security-for-all-Russian-version.pdf

ლიანა კვარჭელია, „არაღიარების პოლიტიკა - ნეიტრალიტეტი თუ პოლიტიზირება?“ ხელმისაწვდომია ბმულზე http://apsny.ru/analytics/?ID=2615&PAGEN_1=53

ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, „ევ-როკავშირის ღონისძიებების შეფასება საქართველოში კონ-ფლიქ-ტის პრევენციის და მშვიდობის მშენებლობის კუთხით“, ივა-ნე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 16 ივნისი, 2017, ხელმისაწვდომია ბმულზე http:/www.woscap.eu/documents/131298403/131299900/D3.2_Case+Study+Report+Georgia.docx_PU_11042017.pdf/8b8e51f2-643a-42f3-802f-6c6758617d0f

სელინ ფრანსისი, „კონფლიქტის მოგვარება და სტატუსი: საქართველოს და აფხაზეთის მაგალითი“, (1989-2008), 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://poli.vub.ac.be/publi/pdf-files/Conflict%20Resolution

სერგი კაპანაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგების გზების ძიებაში, „ვეთანხმებით, რომ არ შეგვიძლია თანხმობის მიღწევა! რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში სტატუს-ნეიტრალური მიდგომის პოზიტიური ასპექტები“, სტრატეგიული და

საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდი, 2014, ხელმისაწვ-დომია ბმულზე http://gfsis.org/files/library/pdf/Russian-1958.pdf

თაბიბ ჰუსეინოვი, „შუალედური ინტერვენციის სტრატეგია კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის სამხრეთ კავკასიაში, კავკასიის მიმოხილვა“, 2014, ხელმისაწვდომია ბმულზე http://dx.doi.org/10.1080/23761199.2014.11417305

ტომას დე ვაალი, „ევროკავშირი და სეპარატისტული ტერიტორიები: როგორ გაუმჯობესდეს ურთიერთქმედება“, 12.04.2017, ხელმისაწ-ვდომია ბმულზე http://carnegie.ru/2017/04/12/ru-pub-68650

საინფორმაციო ონლაინ გამოცემები

აქცენტი, „გალის რაიონის მცხოვრებლები - დადგება დრო, როცა ქართულ მხარეს ძალიან შერცხვება ამის გამო...“, 07.04.2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://accent.com.ge/ru/news/details/12005-Жители-Гальского-района--Настанет-время-когда-грузинской-стороне-будет-очень-стыдно-за-это…

Apsny.ge, „გაერო შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის რეჟიმის გადაწყვეტილების გამო ენგურის გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით“, 26.01.2017, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.apsny.ge/2017/conf/1485480001.php

აფსნიპრესი, „პიტერ სემნებმა აფხაზეთის მთავრობასთან გამართულ შეხვედრებს „შინაარსიანი და ნაყოფიერი“ უწოდა“, 14.07.2010, ხელ-მისაწვდომია ბმულზე http://www.pro-abkhazia.eu/News-R-Yul2010.html

აფსნიპრესი, სერგეი შამბა: „აფხაზეთი არ აპირებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, არ წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას და იაკობაშვილის ასერიგად ნალოლიავები სტრატეგია საჩვენო არ არის“, 24 ივნისი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე

http://www.apsnypress.info/news/sergey-shamba-abkhaziya-ne-sobiraetsya-vozvrashchatsya-v-sostav-gruzii-ne-yavlyaetsya-okkupirovannoy

Civil.ge. „საქართველომ მიიღო ცალმხრივი გადაწყვეტილება ძალის გამოუყენებლობის შესახებ“, 23 ნოემბერი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/eng/article.php?id=22880

Civil.ge, სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf

Civil.ge, „სოხუმი აკრიტიკებს თბილისის სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“, 3 თებერვალი, 2010, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/rus/article.php?id=20363&search=%F1%F2%F0%E0%F2%E5%E3%E8

Civil.ge, „ევროკავშირის დიპლომატები: ნაკლები დაძაბულობა, მეტი შინაარსი არჩევნების დევნაში“, 15.05.10 ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.civil.ge/eng/article.php?id=22302

Newcaucasus.com, „საზღვარგარეთ გამგზავრების პრობლემა არა აქვთ იმათ, ვინც პასპორტი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ აიღო (რუსეთის ნებისმიერ ადგილას)“, ორი მოსაზრება ნეიტრალურ პასპორტებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, 17.07.2011, ხელმისაწვდომია ბმულზე http://newcaucasus.com/society/13029-dva-vzglyada-na-neytralnyie-pasporta-d.html

ახალი კონტინენტი, „2010 წლის ივლისში, პიტერ სემნების და მის უკან მდგარი ბრიუსელის პოზიციის კომენტირებისას, სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობას „ამ ეტაპზე ესმის ევროკავშირის პოზიცია არაღიარების და ევროპულ პროცესებსა და თანამეგობრობაში ჩართვის კუთხით“, „ჩვენ უნდა მიგვიღონ როგორც რუსეთის და რიგი სახელმწიფოების მიერ აღიარებული რესპუბლიკა. ჩვენ არ ვითხოვთ აღიარებას, გვესმის რა ვითარება, ჩვენ გახსნილები

ვართ დიალოგისთვის, მაგრამ საჭიროა წინსვლა, რომ იყოს პოზიტივი“. ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.kontinent.org/article.php?aid=4c4e06bd5b740

ბი-ბი-სის რუსული სამსახური, არაღიარებული საზღვარი: აფხაზური გალის მცხოვრებლებს ეშინიათ იზოლაციის, 27 იანვარი, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.bbc.com/russian/features-38770628

Wikileaks, „აფხაზეთი: ნდობის შენების საჭიროება“, 12.12.2015, 18 (C), 21 (C), ხელმისაწვდომია ბმულზე https://wikileaksga.wordpress.com/2005/12/12/05tbilisi3226-abkhazia-the-need-for-confidence-building

მოხსენებები

ქეთევან ციხელაშვილის მოხსენება, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანხმობის საკითხებში, ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თემაზე - შერიგების და ნდობის აღდგენის პოლიტიკა, 2016 წლის 30 დეკემბერი

თავისუფლების სახლი, თავისუფლება მსოფლიოში, აფხაზეთი, 2015, ხელმისაწვდომია ბმულზე https://freedomhouse.org/report/freedom-world/2015/abkhazia

თავისუფლების სახლი, თავისუფლება მსოფლიოში, აფხაზეთი, 2016, ხელმისაწვდომია ბმულზე https://freedomhouse.org/report/freedom-world/2016/abkhazia

COBERM, ევროკავშირის და UNDP-ის ერთობლივი ინიციატივები, ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.coberm.net/uploads/other/0/340.pdf

რეზოლუცია 876 (1993), ხელმისაწვდომია ბმულზე https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N93/566/50/PDF/N9356650.pdf?OpenElement

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი გელაშვილი

თარგმანი რუსულიდან - ლალი შენგელია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge